ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ

2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურმა 2016 წლის 12 თვეში უზრუნველყო მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაციის საფუძველზე, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება - დასაბუთება და შესრულება, ბიუჯეტის სახსრების მიზანშეწონილად გამოყენება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა 12 თვეში (ნაშთის ცვლილების გარდა) შეადგინა 13 205.3 ათასი ლარი, მ.შ. საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 1 051.4 ათასი, გრანტებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 10 026.6 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები შემოსულია 1 756.6 ათასი ლარის ოდენობით, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 370.7 ათასი ლარი. წლის დასაწყისისათვის არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრების მოცულობამ 728.6 ათასი ლარი შეადგინა. 12 თვის ფაქტიური ხარჯი შეადგენს - 13 933.9 ათას ლარს. მ/შორის: - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა - 2145.8 ათას ლარი; - სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია - 78.7 ათასი ლარი; 2016 წელში თავდაცვის ღონისძიებებზე – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვაზე გახარჯულია - 117.8 ათასი ლარი; - ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია ექსპლოატაციის ხარჯებმა შეადგინა - 8234.5 ათასი ლარი; - საგანმანათლებლო ღონისძიებებზე გაიხარჯა - 1120.8 ათასი ლარი; - კულტურა რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 1593.2 ათასი ლარი; - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა შეადგინა - 643.1 ათასი ლარი. დაზუსტებული ინფორმაცია თითოელ მხარჯავ დაწესებულებაზე წარმოდგენილი იქნება 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.